

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 12 იანვარს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***Pekárny a cukárny Klatovy, a.s. ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადები №12266/07, 40059/07, 36038/09 და 47155/09***

საქმე ეხება სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლითაც აპლიკანტ კომპანიას ეკრძალებოდა საერთო კრების მოწვევა, რაც 2005-2009 წლებს შორის წარმოადგენდა დროებით ღონისძიებას დაგების განხილვისას კომპანიის აქციების 90%-ის საკუთრების საკითხის გადასაწყვეტად. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტი კომპანია ჩივის, რომ აღნიშნული ღონისძიება აბრკოლებდა მათ უფლებას თავიანთი საკუთრების თავისუფლად განკარგვის თაობაზე, ასევე ისინი ჩართეს ისეთ განხილვებში, სადაც ისინი მხარეს არ წარმოადგენდნენ. კომპანიას არ მიეცა ამ ზომების გასაჩივრების შესაძლებლობა და არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური ზომები.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადების №12266/07 და №40059/07 განხილვისას არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები. სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადების №36038/09 და №47155/09 განხილვისას დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის დარღვევის დადგენა თავისთავად მოიცავს შესაბამის სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანისასთვის, რომელიც აპლიკანტ კომპანიას მიუენდა. ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად კი სახელმწიფოს დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა აპლიკანტი კომპანიის სასარგებლოდ.*

- ***ბორისენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №25725/02***

აპლიკანტი სერგეი ბორისენკო უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1967 წელს და ცხოვრობს ნოვოტროიცკში (უკრაინა). 2005 წლის ივნისში მას მიესაჯა 7 წლით პატიმრობა ყაჩაღობის ბრალდების გამო. განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა დარღვევებით. კერძოდ, გაჭიანურდა წინასწარი პატიმრობა დროებითი დაკავების იზოლატორში. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და მე-6 მუხლის I ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი და მე-6 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 1.700 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **დოჟენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №36650**

აპლიკანტი სერგეი დოჟენკო უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის მკვლელობისათვის. 2003 წლის სექტემბერს იგი ბრალდებულად სცნო პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო 2005 წლის აპრილს აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი, რადგან საგაზეთო სტატიებში, სადაც გაშუქებული იყო მისი სისხლის სამართლის საქმე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მოიხსენიებდნენ მას, როგორც „დამნაშავეს“, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო განაჩენი ჯერ იყო გამოტანილი. ამას გარდა, განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილების დარღვევაზე. კერძოდ, იგი ადვოკატის გარეშე წარსდგა უზენაესი სასამართლოს წინაშე და ასევე, მას არ მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა საქმეში არსებულ ყველა მასალას. და ბოლოს, განმცხადებელი ჩივის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მისი კორესპოდენციის გაგზავნაზე იმ დროს, როდესაც მისი სისხლის სამართლის საქმე იხილებოდა უზენაეს სასამართლოში, რითიც მისი აზრით, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I, II და III ნაწილები და კონვენციის მე-8 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, განმცხადებლის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა სასამართლოს წინაშე.*

- **ფელდმანი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №42921/09**

აპლიკანტი ბორის ფელდმანი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს დნეპროპეტროვსკში (უკრაინა). იგი იყო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და კომპანიის უმეტესი წილის მფლობელი. 2002 წლის აპრილში გაასამართლეს გაფლანგვასა და მითვისების ბრალდებით. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი და მე-9 მუხლი. კერძოდ, მას მარ დართეს ოჯახთან შეხვედრის ნება, არ დართეს ასევე მამის დაკრძალვაზე დასწრების ნება და ებრაული სასულიერო პირის რაბის ნახვის უფლება წინასწარი დაკავებისას.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, განმცხადებლის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა სასამართლოს წინაშე.*

- **გოროვენკი და ბუგარა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადები №№36146/05 და 42418/05**

ხუთივე აპლიკანტი უკრაინის მოქალაქეები არიან. მათი ორი ნათესავი 1999 წლის ნოემბერს დახვრიტა პოლიციის ოფიცერმა, რომელიც არ იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და რომელსაც მოგვიანებით სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. განმცხადებლები ჩივიან, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან სახელმწიფოს მხრიდან არ კონტროლდებოდა ძალოვან პირთა მიერ იარაღის შენახვისა და

გამოყენების წესები, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მათი ნათესავები იქნენ მოკლულნი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა თითოეული განმცხადებლისათვის 12.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.099 ევროს გადახდა ერთობლივად ხარჯების დასაფარად.*

- **ივლინი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი № 39908/05**

აპლიკანტი რუსლან ივლინი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1981 წელს და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის მრავალი დანაშაულისათვის, მათ შორის მკვლელობისთვისაც. განმცხადებელი ჩივის მის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე, საპატიმროში არაადეკვატური პირობების გამო. ასევე ჩივის, კონვენციის მე-6 მუხლის I და III პუნქტების დარღვევაზე და კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე. კერძოდ, მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე არასამართლიანად იქნა განხილული, რადგან არ ჰქონდა შესაძლებლობა სრულად გასცნობოდა საქმის მასალებს, უარი ეთქვა ადვოკატის მონაწილეობაზე საკასაციო ინსტანციაში. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი განუცხადა საქმის მასალების ასლების გაცემაზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა ვეროპულ სასამართლოში წარსადგენად ესაჭიროებოდა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-6 მუხლის I და III ნაწილები და მე-13 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **იგორ შევჩენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №22737/04**

აპლიკანტი იგორ შევჩენკო უკრაინის მოქალაქე იყო, დაიბადა 1979 წელს და გარდაიცვალა 2010 წელს. აპლიკანტს ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე 1993 წელს დაეჯახა მანქანა, რის შედეგადაც იგი დაინვალიდა. ბატონი შევჩენკო ჩიოდა, რომ ავტოავარიის გამოძიება გაჭიანურებული და არაეფექტური იყო. განმცხადებელი მიუთითებდა მის მიმართ კონვენციის მე-2, მე-6 მუხლის I ნაწილისა და მე-13 მუხლების დარღვევაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის არაეფექტური გამოძიების გამო და სახელმწიფოს დაეკისრა 8.000 ევროს გადახდა განმცხადებლის დედის სასარგებლოდ, რომელიც მისი შვილის ნაცვლად მონაწილეობდა უკვე სასამართლო პროცესებში.*

- **კირიაკოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №26124/03**

აპლიკანტი ალექსანდრე კირიაკოვი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს ლისიშანსკში (უკრაინა). იგი იყო მეღნიკოვის სახელობის ქვა-ნახშირის საბადოს დირექტორი. 2002 წელს მას ბრალი წაუყენეს სხვადასხვა დანაშაულისათვის, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და გადასახადების თავიდან აცილების ჩათვლით. საბოლოოდ, მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა მოიხსნა 2007 წლის სექტემბერში, როდესაც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გამოვიდა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მისი საქმის განხილვა უკიდურესად გაჭიანურებით მიმდინარეობდა და იგი აღარ აღადგინეს მალაროს დირექტორის თანამდებობაზე მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო ორი გადაწყვეტილება.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 1.200 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **ტოდოროვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №16717/05**

აპლიკანტი იგორ ტოდოროვი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს სიმფეროპოლში (უკრაინა). კრიმინარული დაჯგუფების წევრობისა და ყაჩაღობის გამო 7-წლიან სასჯელს იხდიდა ციხეში. მისი უანმრთელობა სერიოზულად იყო შეწყველილი, დაავადებული იყო სხვადასხვა დაავადებით, დაქვეითებული ჰქონდა მხედველობა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არაადეკვატური სამედიცინო დახმარების გამო, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი, რადგან მისი წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვა დაუსაბუთებლად გაჭიანურდა და ასევე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I, II და III ნაწილები, რადგან საწყის ეტაპზე მას არ ჰყავდა ადვოკატი და საქმის განხილვა არაგონივრულ ვადებში მიმდინარეობდა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის III ნაწილი, მე-6 მუხლის I და III ნაწილები. სახელმწიფოს დაეკისრა 18.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

- **ტრიმბაჩი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №44385/02**

აპლიკანტი ვიკტორ ტრიმბაჩი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს კრივოი როვში (უკრაინა). 2000 წლის მაისში მას მიესაჯა პატიმრობა სამი ადამიანის სასიკვდილოდ დაჭრის გამო, რომლებიც მისი ფერმის ახლოს მდებარე ელექტროსადგურიდან იპარავდნენ მეტალის ნაწილებს. განმცხადებელი ჩივის, რომ მისი დაცევი უფლება იქნა დარღვეული, რადგან საქმის საწყისი ეტაპიდან მას არ ჰყავდა ადვოკატი, რაც ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად უნდა უზრუნველყო სახელმწიფოს. განმცხადებელი ჩივის კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილების დარღვევაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები.*

- ***უსტიანცევი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №3299/05***

აპლიკანტი სერგეი უსტიანცევი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ამჟამად იმყოფება საპატიმროში. მანქანის ქურდობის გამო 2003 წელს მისაჯა პატიმრობა. განმცხადებელი ჩივის მის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე საპატიმროში არსებული არაადეკვატური პირობების გამო. ასევე მიუთითებს, რომ დაორღვა კონვენციის 34 მუხლი, რადგან სტრასბურგის სასამართლოში განაცხადის შეტანისას, მას არ მიეცა თავისი საქმის მასალების ასლის გადაღების შესაძლებლობა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

**გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე**

- ***კრიჟანიუსკი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №36619/05***

აღნიშნულ საქმეზე აპლიკანტი ჩივის, რომ მისი სამოქალაქო საქმის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარებდა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.*